სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/125

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025 წ.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების

დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 ივლისის # 822868 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის № 01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ დანართის შესაბამისად;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს;
2. დოკუმენტის მიზანია:
   - შექმნას დაწესებულებაში ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას.
   - ეფექტიანი შიდა ხარისხის სისტემის შექმნა და მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.
3. უნივერსიტეტში, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობის მთავარი ღირებულებები და მიდგომებია: გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა.
4. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპით:

   დაგეგმე - Plan: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირებას;

   განახორციელე - Do: დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელება, რაც გულისხმობს არსებული საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას; მიღებულ შედეგებზე დროულ რეაგირებას, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, ცვლილებების განხორციელებას;

   შეაფასე - Check: განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება, ცვლილებების შედეგად მიღებული შედეგების შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების შეფასება;

   განავითარე - Act: შეფასების შედეგების საფუძვლეზე ცვლილებების განხორციელება (გამოყენებულ მექანიზმებთან ან ჩატარებულ ქმედებებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტების, შეფასების ინსტრუმენტების და ა.შ. გადახედვა, განახლება და დამტკიცების პროცესი).
5. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საშუალებით და პრინციპების დაცვით უზრუნველყოფილია მუდმივი შეფასება (დანართი).

მუხლი 2. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები

1. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს საქმიანობის და რესურსების უწყვეტ შეფასება/განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს ყველა შესაბამის სამსახურთან, ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, როგორც საუნივერისტეტო ისე ფაკულტეტის დონეზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან/დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
3. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.
   - **შიდა შეფასება** - სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
   - **გარე შეფასება** - ავტორიზაციის პროცესში მიღებული შეფასებები (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
4. დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

   4.1. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, დანერგვას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას.

   4.2. ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ტექნოლოგიების, მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.
5. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენება ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის გამჭვირვალე შეფასების სისტემის შემუშავებას და დანერგვას, აგრეთვე, შეფასების შედეგების გამოყენებას პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას. ადამიანური რესურსების შეფასების მიზანია მათი პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირება და მოტივაციის გაზრდა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას (ტრენინგების ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).
7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შედეგების შეფასების სისტემის მუდმივი განვითარება, შეფასება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შედეგების ანალიზს და ანალიზის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას.

8. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების წესების და პროცედურების შემუშავება, დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება, განხორციელების და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა, ემსახურება უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამისი მხარისთვის.
9. პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების ფართო სპექტრის შემუშავებას, დანერგვას და მუდმივ გაუმჯობესებას. აღნიშნული ითვალისწინებს, როგორც მატერიალურ რესურსებს (ბიბლიოთეკა, სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა). ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ფარგლებში რესურსების შეფასებაში დაინტერესებული პირების ჩართვას, შეფასების შედეგების შემგდომი გაუმჯობესებისთვის.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები

1. უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნვს სწავლების და სხვა მიწოდებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე. იმისათვის, რომ უპასუხოს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, აუცილებელია დანერგოს სხვადასხვა სახის კვლევები. კვლევების მიზანია მოხდეს როგორც შიდა გამოწვევების იდენტიფიცირება, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენა. გამოავლინოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.
2. უნივერსიტეტში შიდა კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სტუდენტები/მსმენელები, მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებელი პირები/პროგრამის ხელმძღვანელები. გარე კვლევების სამიზნე აუდიტორიაა - კურსდამთავრებულები, პრაქტიკის განმახორციელებელები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვ.
3. კვლევის შედეგების და შეფასების ანალიზი უნივერსიტეტს ეხმარება, განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროგრამის ხელმძღვანელების, გარე შემფასებლების სრული ჩართულობა.
4. პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვებს. გამოკითხვა არის პირველადი მონაცემების შეგროვების მეთოდი რესპოდენტებთან კომუნიკაციის შედეგად.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს განხორციელებული კვლევის ანალიზის დოკუმენტს ანგარიშის სახით.
6. კვლევის მეთოდები და გამოკითხვის ჩატარების ეტაპები:

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კვლევის მეთოდოლოგია: სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კვლევა არის კვლევა, რომლის მიზანია მათგან უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან მიმართებით: სასწავლო პროცესი, ინფრასტუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვ.

თითოეული ასპექტით სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების შეფასება უნივერსიტეტს დაეხმარება გააუმჯობესოს სერვისების ხარისხი.

გამოკითხვა ხორციელდება შემუშავებული კითხვარის საშუალებით, სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით, რაც მოიცავს:

- პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეფასებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელი/ინსტრუქტორის შეფასებას;
- სასწავლო რესურსების შეფასებას;
- სტუდენტებისთვის შეთავაზებული სხვადასხვა სერვისების შეფასებას.

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელის კვლევის მეთოდოლოგია: პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის შეფასება ემსახურება პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის დახვეწას, მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენას და შემდგომი განვითარების გზების დასახვას. ის არის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი შიდა მექანიზმი, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის გამოკითხვა ხორციელდება შემუშავებული კითხვარების საშუალებით სხვადასხვა პლატფორმებზე, რაც მოიცავს:

- პროგრამის შეფასებას;
- სასწავლო პროცესის შეფასებას;
- სასწავლო რესურსების შეფასებას.
- შეთავაზებული სერვისების შეფასებას;
- საჭიროებების შესახებ დაწესებულების ინფორმირებას.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად.

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია: კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ერთ-ერთი საშუალება. კურსდამთავრებული აფასებს პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და სასწავლო გეგმას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ, თვალყური ვადევნოთ საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიულ განვითარებას, შესაბამისად, შეაფასოს საგანმანათლებო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, მიიღონ რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიზნით. შეფასების შედეგების ანალიზი დაგვეხმარება პროგრამების დახვეწაში.
კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად, შემუშავებული კითხვარების საშუალებით სხვადასხვა პლატფორმებზე.

მუხლი 4. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდგომში პროგრამები) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასება

1. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:
   - სასწავლო პროცესის განხორციელების და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი; პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის ამაღლების და განვითარების მიზნით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
   - სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, სერვისების შეფასების მონიტორინგი;
   - მონიტორინგის, კითხვარების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მომზადება;
2. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების და მათი განხორციელების შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება პროგრამის მსმენელების, პროგრამის განმახორციელებლების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები და საჭიროების შემთხვევაში ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები - პირისპირ ინტერვიუირება.
3. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემოწმების მიზნით, შეფასებას ექვემდებარება პროგრამების ფორმალური შესაბამისობა პროფესიული განათლების სფეროში მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე, აგრეთვე დაწესებულების შიდა რეგულაციებთან.
4. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს ანგარიშს/რეკომენდაციებს თითოეული პროგრამის, სასწავლო პროცესის და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის, პერსონალის საქმიანობის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით.

5. გამოკითხვები ტარდება ყოველი ნაკადის ფარგლებში მინიმუმ ერთხელ.

მუხლი 5. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია

1. ვერიფიკაცია არის გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე პასუხისმგებელია შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართული (მაგ. განათლების/დარგის ექსპერტები და სხვ.)
2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია.
3. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები, ხოლო პროცესის ვერიფიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი დარგის წარმომადგენელთან ერთად;
4. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას;
5. ვერიფიკაციით განისაზღვრება, შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულება იმ მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა და აკმაყოფილებს თუ ვერიფიკაციის კითხვარში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და გამჭვირვალე, ხოლო მტკიცებულებები სათანადოდაა აღრიცხული და შეფასება ობიექტურია;
6. სტუ-ში ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ,,საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის“ შესაბამისად.

მუხლი 6. საფაკულტეტო კომისია

1. სტუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის, სასწავლო გარემოს ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების, მატერიალურ - ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფის, შეფასების, საგანმანათლებლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის შემოწმების, სათანადო მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვის და წარმატებით განხორციელების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით იქმნება საფაკულტეტო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შეყვანილ იქნენ: ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის

ხელმძღვანელი/ები, ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილების წარმომადგენელი; შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტისთვის კომისიას უხელმძღვანელებს ინსტიტუტის დირექტორი. კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შეყვანილ იქნენ: პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროგრამების კურატორი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელი/ები და საჭიროების შემთხვევაში ინსტიტუტის სხვა წარმომადგენელი.

2. საფაკულტეტო კომისია შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას.
3. სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზანია: სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირების შეფასება (რესურსები, მასალა/ნედლეული), პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შემოწმება.
4. საფაკულტეტო კომისიის მოვალეობაა:

   ა) გაეცნოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სასწავლო გეგმას/ებს;

   ბ) სასწავლო პროცესის/პერიოდის განმავლობაში თითოეული პროფესიული პროგრამისთვის ჩაატაროს არანაკლებ სამი შემოწმება, შედგენილი გეგმის მიხედვით მეცადინეობაზე/მეცადინეობებზე დასწრებით;

   გ) პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემოწმება განხორციელდეს მსმენელების თითოეული ჩარიცხული ჯგუფის სასწავლო პერიოდის განმავლობაში ერთჯერადად;

   დ) გაეცნოს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით გათვალისწენებულ მეცადინეობებს და სწავლის შედეგების მიღწევებს;

   ე) შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია;

   ვ) მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება.
5. კომისიას აქვს უფლება, დაესწროს სალექციო და პრაქტიკულ მეცადინეობებს და სწავლის შედეგების დადასტურების პროცესს;
6. ყოველწლიურად, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, საფაკულტეტო კომისიის ხელმძღვანელი კომისიის წევრებთან ერთად განიხილავს და შეაჯამებს განხორციელებული შემოწმების შედეგებს, რაც ასახული იქნება კომისიის სხდომის ოქმში, პროცესის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში;
7. იმ შემთხვევაში თუ, შემოწმების პროცესში გამოვლენილი იქნება რაიმე სახის გადასაჭრელი საკითხ(ებ)ი, რაც ასახული იქნება ოქმში, კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებთან ერთად უფლებამოსილი არიან გაანალიზონ და შეაფასონ ფაქტობრივი ვითარება და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშაონ რეკომენდაცი(ები)ა და მათ გამოსასწორებლად განსაზღვრონ გონივრული ვადა.
8. კომისიის თავმჯდომარე განხორციელებული შემოწმების ანგარიშს წარადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

<u>დაგეგმვა (plan)</u> – ჩასატარებელი სამუშაო და შემუშავებულ იქნეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოსა და შემოწმების ვადებს.

N	**განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა**
1.	სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებთან და რეაგირება;
2.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული კლასების და ა.შ) მდგომარეობის შემოწმება დადგენა და რეაგირება;
3.	საბიბლიოთეკო წიგნადი/ელექტრონული ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებთან შესაბამისობა) შემოწმება და რეაგირება;
4.	ვებ-გვერდზე ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების (მათ შორის, უცხოენოვანი ვერსიის) შემოწმება და რეაგირება;
5.	სალექციო/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების და სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის შემოწმება და რეაგირება;
6.	პროფესიული სტუდენტების/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია/ მსმენელების შეფასების სისტემის ანალიზი და რეაგირება;
7.	პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება და რეაგირება;
8.	პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ ინსტრუქტორების კმაყოფილების კვლევა, ანალიზი და რეაგირება.

<u>განხორციელება (do)</u> - შემუშავებული გეგმის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დაგეგმილ ვადებში ახდენს სასწავლო განრიგის პროფესიულ საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებთან შესაბამისობის დადგენას, ამოწმებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული კლასების და ა.შ) მდგომარეობას. ამოწმებს ვებ-გვერდზე ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების პროცესს. მოდულისა და სწავლის შედეგების საკონტაქტო საათებზე და სწავლის შედეგების დადასტურების შემოწმებით ამოწმებს მოდულის/სწავლის შედეგების შესაბამისობას კალენდარულ გეგმასთან და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის პროცესს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხისა და აქტუალობის შემოწმების მიზნით, ატარებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის

ხელმძღვანელების, ინსტრუქტორ-მასწავლებლებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას, იკვლევს პროფესიული სტუდენტების კმაყოფილებას შეთავაზებულ მომსახურებასა და პირობებთან.

<u>შემოწმება (check)</u> - შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა. დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარდგენა ან/და ზეპირი პრეზენტაცია.

განსახორციელებელი სამუშაო	**პერიოდი**
სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა პროგრამის დაწყებამდე არა უგვიანეს სამი დღის.	სასწავლო პროცესის დაწყებამდე /საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე პროცესში
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის, აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული კლასები და ა.შ) შესაბამისობის დადგენა და რეაგირება.	სასწავლო პროცესის დაწყებამდე /საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე პროცესში
საბიბლიოთეკო წიგნადი/ელექტრონული ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებთან, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებთან შესაბამისობა) შემოწმება და რეაგირება.	სასწავლო პროცესის დაწყებამდე /საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე პროცესში
ვებ-გვერდზე ინფორმაციის გონივრულ ვადაში განახლების შემოწმება და რეაგირება.	პროფესიული სტუდენტების მიღების გამოცხადებამდე 1 თვით ადრე/საჭიროებისამებრ
ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობებისა და პრაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის მონიტორინგი და რეაგირება.	სასწავლო პროცესის განმავლობაში.
მოდულის/სწავლის შედეგების კალენდარული გეგმის მიხედვით წარმართვის, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებისა და შედეგების დადასტურების მიმდინარეობის გამჭვირვალე პროცესი. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/ინსტრუქტორ-	სასწავლო პროცესის განმავლობაში

მასწავლებლებთან ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები.	
პროფესიული სტუდენტების/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია/მსმენელების შეფასების სისტემის, ანალიზი და რეაგირება	პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაცია მოდულის დაწყებამდე 1 თვით ადრე/საჭიროებისამებრ
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გაანალიზება და რეაგირება.	სასწავლო წლის ბოლოს /პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას
პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების, კვლევა, ანალიზი და რეაგირება	სასწავლო წლის განმავლობაში

<u>**რეაგირება (act)**</u> - შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების გამოსაკვეთად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ემსახურება სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას, გაუმჯობესებას, განვითარებასა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია SWOT-ანალიზი, რაც გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

SWOT ანალიზი

შიდა გარემო	ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
გარე ფაქტორები	შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats